20/06/2019

მართლმადიდებელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის რიგით 26-ე სესია – რუსი დეპუტატები საქართველოს პარლამენტში მივიდნენ

საქართველოს პარლამენტში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესია გაიხსნა. ღონისძიების ფარგლებში, თბილისს 25-მდე ქვეყნის დელეგაციის 100-მდე მონაწილე ეწვია.

აღნიშნული ასამბლეის ჩატარებას აპროტესტებს საპარლამენტო ოპოზიცია.

სესიას რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვი ესწრება, რომელსაც გუშინ სახელმწიფო ცერემონიების სასახლესთან საპროტესტო აქციით შეხვდნენ.

ოპოზიციის განცხადებით, სერგეი გავრილოვს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი“ აქვს დარღვეული, რასაც უმრვალესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი უარყოფს.

გენერალური ასამბლეა 21 ივნისს დაიხურება.

ამ წუთებში პარლამენტის სასესიო დარბაზში დელეგატთა სიტყვით გამოსვლები მიმდინარეობს.

მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა საბერძნეთის პარლამენტის

ინიციატივით შეიქმნა.

palitranews.ge